

4.367

3

4-367

3.

ანდრო შილაკაძე


ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ ა ს მ ა რ ო

(მასალები ბასმაროს ისტორიისათვის)

პროფ. ვ. ა. ანდლუღაძის რედაქციით და წინასიტყვაობით

თბილისი

1940 წ.

614.213(ე 922)



ანდრო შილაკაძე

ბ ა ხ მ ა რ ო


(მასალები ბახმაროს ისტორიისათვის)

პროფ. ვ. ა. ანდლუღაძის რედაქციით და წინასიტყვაობით

F-4/367
F-3

3.440

F 4.367
F 3



„სოიუზვეჩათის“ სპ. რესპუბ. განუ. გამოსცემა
ქ. თბილისი
1940 წ.

პ/მგ. რედაქტორი საქ. ჯ. ს. კ. კურ. მთ. სამმართველოს
უფროსი ექ. ი. ფალავა

ტექ. რედაქტორი და კორექტორი მ. კორძაია



გადაეცა წარმოებას 12.7.1940 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.12.1940 წ.
ანაწყოების ზომა $6\frac{1}{2} \times 10\frac{1}{2}$. ქალ. ზომა 62×94 . ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 2 ფ.
შეკვეთის (зак.) № 668. ტირაჟი (тираж) 2000. უე 4214.

სსრკ მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის სტამბა, აკაკი წერეთლის ქ. 7
Тбилиси. Типография Груз. Фил. Акад. Наук. СССР. Ул. А. Церетели 7

წინასიტყვაობა

წინამდებარე ბროშურის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ ეს ბროშურა არც წმინდა სამედიცინო მეცნიერული და არც წმინდა ისტორიული ნარკვევია. ავტორი ისტორიული წყაროების გამოყენებით, ცდილობს გადმოგვცეს ფრიად საინტერესო ცნობები ბახმაროს შესახებ.

ბახმარო, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმთავითვე თვით ხალხის მიერ მოწონებული აგარაკია. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ, ბორჯომისა და წყალტუბოს გამოკლებით, არ მოგვეპოება ისეთი აგარაკი, რომელიც ყოველწლიურად იზიდავდეს 15—20 ათას მოაგარაკეს, როგორც ამას ბახმაროში აქვს ადგილი.

საბჭოთა კავშირის და უცხოეთის სახელგანთქმულ აგარაკთა ხანგრძლივი არსებობის ისტორია გვიჩვენებს, რომ კურორტულ ადგილებს ყოველთვის მოსახლეობა აქცევს ყურადღებას, იწყებს მით სარგებლობას და მხოლოდ ამის შემდეგ ისინი ხდებიან ექიმების და სხვა სპეციალისტების შესწავლის საგნად, ხოლო რაც შეეხება ბახმაროს, — მისი პირველადი აღმოჩენა თუმცა, როგორც წინამდებარე ბროშურიდან ჩანს, ექიმ დავიდიანცს ეკუთვნის, მაგრამ მას კურორტის სამოქალაქო უფლება ხალხმა მიანიჭა.

საქართველოს მშრომელთა შორის დიდი პოპულარობა აგარაკ ბახმარომ მოიპოვა იმ არაჩვეულებრივ თერაპევტულ ეფექტიანობის გამო, რომელშიაც ამ სტრუქტურების ავტორი თითონ დარწმუნდა 1937 და 1938 წ.წ. სეზონის განმავლობაში, ავადმყოფთა მკურნალობის დროს. აღნიშნულ დროის განმავლობაში ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა გვეწარმოებია დაკვირვებანი 1500 ამბულატორულ სხვადასხვა სახის დაავადებულებზე, რომლის მიხედვით, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ჩვენ არ მოგვეპოება მაღალმთიან ჰავის არც ერთი კურორტი, რომელიც მოკლე დროის მანძილზე იძლეოდეს ასეთ დიდ თერაპევტულ ეფექტს, როგორც ბახმარო.

აგარაკ ბახმაროს, როგორც სამეცნიერო-კვლევითი, ისე აღმშენებლობითი საქმიანობა, ვითარდება ჩვენი ქვეყნის გამარჯვებული სოციალისტების ტემპების შესაფერისად.

ა. შილაკაძის ბროშურა ამახვილებს ჩვენს ყურადღებას კურორტის შემდგომი შესწავლისა, აღმშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის.

ბროშურაში მოცემული ისტორიული ფაქტები მკითხველს თვალწინ უშლის, თუ როგორ იტანჯებოდა გურიის და სამეგრელოს მშრომელი გლეხობა თავადაზნაურობისა და მეფის მოხელეებისგან, იმათთაგან, ვინც ასე უტიფრად ეწეოდა გურიის გლეხობის ცოცხალი ადამიანებით სამარცხვინო ვაჭრობას თურქეთის ბაზარზე. იგი რამდენიმედ ააშკარავებს აგრეთვე თურქეთის ურდოების თარეშს გურიისა და სამეგრელოს სოფლებში ადამიანთა ცოცხალი სხეულით ვაჭრობის მიზნით.

ბროშურა დაწერილია, პოპულარული, გასაგები ენით, იკითხება ინტერესით. თუმცა მასში მოცემული მასალა არ ამოსწურავს ბახმაროს ისტორიას სავსებით, მაგრამ ის, რაც მოყვანილია, საინტერესოა და სასარგებლო.


პროფ. ვ. ა. ანდლულაძე

24.VII.1940 წ.

ქ. თბილისი



ეროვნული
ბიბლიოთეკა



კურორტი ბახმაროს საერთო ხედი

ბ ა ხ მ ა რ ო

საქართველოს კურორტებს საბჭოთა კავშირის კურორტთა შორის პირველი ადგილი უჭირავს.

ჩვენ მოგვეპოება მრავალი პირველხარისხოვანი, როგორც ადგილობრივი, ისე რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტი, ზღვის ნაპირებით, მინერალური და სამკურნალო წყლებით, მაღალი მთის ჰავით და ბუნებრივი სილამაზით შემკობილი, ზოგიერთი მათგანი საკავშირო მნიშვნელობის კურორტია. ასეთებია: აბასთუმანი, ბორჯომი წყალტუბო და სხვა.

ჩვენი კურორტების უმეტესი ნაწილის სამკურნალო კლიმატური ფაქტორები შედარებით გამორკვეული და შესწავლილია.

ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დაუღალავი მზრუნველობით, განსაკუთრებით კი საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების შემდეგ, ქართველ ხალხის საამაყო შვილის ამხანაგი ლ. პ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით აღნიშნული კურორტები მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის დაცვის უდიდეს ფაქტორებად გადაიქცენ. ჩვენში ამჟამად დიდი მუშაობა წარმოებს აგრეთვე ახალი კურორტების აღმოსაჩენად და შესასწავლად.

სწორედ ამ მიზნით თბილისში დაარსებულია, საქართველოს ჯ. ს. კ. კურორტთა მთავარ სამმართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტი ამოცანად ისახავს ყოველმხრივ შეისწავლოს და დაამუშაოს საქართველოს ყველა ღირსშესანიშნავი საკურორტო ადგილის, მინერალური წყლების სამკურნალო თვისებები, გამოარკვიოს მათი მაჩვენებლები, საწინააღმდეგო მაჩვენებლები და სხვ.

ამ ბროშურაში ჩვენ გვინდა მკითხველთა ყურადღება მივაქციოთ აგარაკ ბახმაროს, რომელმაც ამ ბოლო დროს მოიპოვა დიდი პოპულარობა მშრომელი მოსახლეობის ფართო მასებში, განსაკუთრებით გურიაში.

ბახმარო—სხვა საკურორტო ადგილებს შორის, მართლაც, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს.

ბახმაროს გარდა, გურიაში მოიპოება მრავალი სააგარაკო და სამკურნალო ადგილი, რომლებითაც მოსახლეობა უკვე სარგებლობს. ასეთი ადგილებია: გომისმთა, სადაც ყოველწლიურად ექვს—შვიდ ათასამდე მოაგარაკე მიდის. ამ აგარაკს, ანუ, როგორც ადგილობრივ ეძახიან ნაფაცხარს, ისე, როგორც აგარაკ ბახმაროს, საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1906—9-ს წლებიდან იმ დროს ახალგაზრდა ექიმები, პროფ.

ვლ. ცეცხლაძე, მიხაკო ცეცხლაძე და სხვები ავადმყოფ მოაგარაკებზე დაკვირვებას აწარმოებდნენ, მათ გამოსთქვეს ის აზრი, რომ ეს აგარაკი, ისე, როგორც ბახმაროს ჰავა, ზღვის ჰაერით არის შეზავებული და გამაცვიფრებელ ეფექტს ახდენს, პირველად ყოვლისა, მალარიით დაავადებულებზე. ადგილობრივი ექიმების: მ. ქავთარაძის, ვ. ჩხატარაიშვილის, ბ. მახარაძის, არონიშის და სხვების ხანგრძლივი დაკვირვებით დასტურდება ექ. ცეცხლაძეების შეხედულება აგარაკ გომისმთის შესახებ.

ამ აგარაკის სიმაღლე უდრის დაახლოებით 2107 მეტრს. აგარაკიდან საუცხოოდ მოჩანს მთელი დასავლეთი გურია და შავი ზღვა¹.

ამ მთის ახლო არის კლიმატური ადგილი ტყე-გვალა, ასეთივეა ხინოს მთა, სურების მთა და სხვ.

სხვადასხვა სამკურნალო წყლების და ადგილების რაოდენობა გურიაში 35-მდე აღწევს, მათ შორის უფრო ცნობილია ნაბელლაგის წყალი (ჩოხატაურიდან 16 კილომეტრის დაშორებით). ეს წყალი, 1927 წლის გამოკვლევის მიხედვით, ეკუთვნის ტუტოვან წყლების ჯგუფს და უხდება სისხლნაკლოვან და კუჭნაწლავებით დაავადებულთ.

ნასაკირალის ხეობაში აღმოჩენილია აგრეთვე წყაროები, რომელნიც შეზავებულია ქლოროვანი კალციუმით და ქლოროვან ნატრიუმით. ამავე რაიონში აღმოჩენილია ტალახი, რომელიც ძლიერ კარგად მოქმედებს კანის სხვადასხვა დაავადებაზე. ბახვის წყალი ცნობილია, როგორც გოგირდოვანი წყალი. გურიაში კარგად ცნობილია აგრეთვე ლაშეს აბანო, რომელიც მდიდარია მინერალური მარილებით და ძლიერ უხდება რევმატიზმით დაავადებულთ.

მინერალური წყლები მოიპოება გომში—3, შემოქმედში—2, ფარცხმაში—1, ამაღლებაში—2, ახალსაყდარში—1, ჯუმათში—1, ჯვარცხმაში—1, აცანაში—1, აკეთში—1, ორაგვეში—1, მახარაძეში—1 და სხვ.

გარდა ამისა, ძიმითსა, გომსა და კახურში აღმოჩენილია სამკურნალო ტალახები, რომლებიც უხდება რევმატიზმს და კანის ავადმყოფობას.

აღნიშნული წყლებით და სამკურნალო ტალახებით უხვად სარგებლობს მოსახლეობა. ზოგიერთ ადგილებში (ნასაკირალი და ნაბელლაგი) ადგილობრივ კოლმეურნეობებს მოწყობილი აქვთ აბაზანები, სადაც ყოველწლიურად შვიდი ათასამდე ავადმყოფი მკურნალობს.

ტოპოგრაფიული ცნობები ბახმაროს შესახებ. აგარაკი ბახმარო მდებარეობს აჭარა-ახალციხის მთაგრეხილზე, გურიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, აჭარის საზღვარზე $60^{\circ}-58-20''$ ჩრდილოეთის სიგრძით და $41^{\circ}-50^{\circ}-0''$ სამხრეთის სიგანით.

¹ ამ კურორტის კეთილმოწყობის საქმეში დაწყებული 1900 წლ. სხვადასხვა დროს ვნერგიულ მუშაობას ეწეოდნენ: ბარ. მახარაძე, დიომ. შილაკაძე, ვლ., მ. და ილ. ცეცხლაძეები, დავით ერქომაიშვილი, ი. და კ. ჩიტაიშვილები, თ. საბაშვილი, ნ. ჩხატარაიშვილი, ხარ. ჩხატარაიშვილი, გრ. დუმბაძე, დავით გუგუნავა და სხვ.

ბახმაროს საზღვრებია: აღმოსავლეთით განდრეკილის მთა, დასავლეთით—საყორნიის მთა, ჩრდილოეთით—ე. წ. მთა ბახვისთავი და სამხრეთით—ფათარას მთა.

ბახმაროს მთელი ტერიტორია უდრის 2.651 კვ. ჰექტარს, აქედან: საძოვარს და, საერთოდ, ალპიურ მინდვრებს უჭირავს დაახლოებით 1.817 კვ. ჰექტ., ნაძვნარ ტყეს კი 834 კვ. ჰექტ. მთაბახვისთავის სიმაღლეა 2,193 მეტრი, განდრეკილის—2.722 მეტრი, ფათარას მთისა—2,616, საყორნიის—2,752 და კონცხის მთისა—2.112 მეტრი. ბახმაროს ტერიტორიაზე მდებარეობს აგრეთვე ბაისურა და პატარა ბახმარო, რომლებიც ცნობილი იყვნენ ძველითგანვე, როგორც საუკეთესო სამკურნალო ადგილი ფილტვების ქლექით დაავადებულთათვის.

ბახმარო თითქმის ყველაზე მაღალი კურორტია არა თუ საქართველოში და საბჭოთა კავშირში, არამედ ევროპაშიაც. ამას გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი:

ჩვენს კურორტების სიმაღლე უდრის:

| | | | |
|--------------------------|-------------|-------------------------|-------------|
| 1. ბახმარო | 2.003 მეტრს | 9. კოჯორი | 1.380 მეტრი |
| 2. ბაკურიანი | 1.800 " | 10. დიდი ცემი | 1.160 " |
| 3. შოვი | 1.500 " | 11. ძაუ | 1.063 " |
| 4. პატარა ცემი | 1.370 " | 12. წალვერი | 1.050 " |
| 5. ლიბანი | 1.360 " | 13. კიკეთი | 950 " |
| 6. აბასთუმანი | 1.340 " | 14. ბორჯომი | 800 " |
| 7. ლებარდე | 1.205 " | 15. ახტალა | 412 " |
| 8. მანგლისი | 1.204 " | 16. წყალტუბო | 98 " |

ევროპის კურორტების სიმაღლე არის:

| | | | |
|--------------------------|-------------|---------------------------|-------------|
| 1. წმ. მორიცის | 1.855 მეტრი | 6. ბეათენბერპის | 1.148 მეტრ. |
| 2. აროზა | 1.720 " | 7. ენჭელბერის | 1.019 " |
| 3. დავოსი | 1.560 " | 8. კოსი | 1.100 " |
| 4. ლეიზენი | 1.450 " | 9. ლევანტესი | 1.000 " |
| 5. მენდელი | 1.354 " | | |

ბახმარო ითვლება ალპიურჰავიან კურორტად. ის ერთობ მაღალი კურორტია. მიუხედავად ამისა, მისი სამკურნალო მნიშვნელობა ძლიერ დიდია, რასაც ხსნიან იმ გარემოებით, რომ მისი ჰავა შეზავებულია ზღვის ჰავასთან. ამის შესახებ საყურადღებო აზრს გამოსთქვამს პროფ. ალადაშვილი. იგი ჯანსაზიკომისადმი წარდგენილ მოხსენებაში (1922 წ. ჩატარებულ მუშაობის გამო) წერდა: „საბაჟოს რომ ასცილ-

დებით, თქვენს თვალწინ იშლება თვალწარმტაცი ბუნება, გურიის, თუმის და იმერეთის სურათს ამთავრებს კავკასიონის ქედი და შავი ზღვა. დარწმუნებული ვარ, როცა კარგი გზა გაკეთდება, ევროპელები მხოლოდ გზის სიმშვენიერეს სანახავადაც მოვლენ აქ. გზა მიდის უმდიდრეს ტყეებში და, როცა ტყეებს ათავენთ, იწყება ალბიური საძოვრები. ბახმარო გარშემორტყმულია ჯერ ნაძვიანი ტყით, მერე საძოვარი მთებით. ეს მთები ზოგ ადგილას თოვლით არის დაფენილი. საერთოდ, მთელი ზაფხულის განმავლობაში მთებზე თოვლი არ დნება, ეს მთები იფარავს ბახმაროს ქარებისაგან და, ამიტომაც, მთელი ზაფხულის განმავლობაში საგრძნობი ქარი აქ არ იცის. საერთოდ, ბახმაროზე ისეთი ჰაერის მიმდინარეობაა, როგორც ზღვის პირს. სალამოს—ზღვიდან მთისაკენ, დილას—მთიდან ზღვისაკენ. პირდაპირი ხაზი ზღვამდე იქნება 40 კლ. ჩემის აზრით, ზღვის გავლენით არის, რომ ასეთ სიმაღლეზე ისე ნაზი ჰაერია. ზოგი ავადმყოფი, რომელიც სხვა უფრო დაბალ კურორტებზე ვერ სძლებს, ბახმაროზე მშვენივრად გრძნობს თავს. ბახმაროს უფრო მეტი შესწავლა უნდა, ვიდრე სხვა კურორტებს. აქ თქვენ საქმე გაქვთ რაღაცა არაჩვეულებრივ პირობებთან, მარტო სიმაღლით არ აიხსნება ბახმაროს მრავალმხრივი, მდიდარი თვისებები, დიდი მნიშვნელობა აქვს შავი ზღვის სიახლოვეს“.

აქვს თუ არა რაიმე კავშირი ბახმაროს სახელწოდების წარმოშობას ტყვეების და მოწევის ყიდვა-გაყიდვასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა გურიაში

ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში არ მოიპოვება საკმაო ცნობები „ბახმაროს“ სახელწოდების წარმოშობის შესახებ. როგორც ვიცით, მე-16 საუკ. დასასრულიდან, უფრო კი მე-17, 18 ს.ს. ხოლო მეტადრე 19 საუკ. მეორე ნახევ. თურქეთში ძლიერ გავრცელებული იყო ტყვეების ყიდვა. სხვადასხვა რაიონებიდან თურქეთში უამრავი შესყიდულნი და მოტაცებული ტყვე მოჰყავდათ. გურიიდანაც მიჰყავდათ ტყვედ, როგორც ბავშვები, ისე მოზრდილები. ხშირად იტაცებდნენ აგრეთვე ლამაზ ქალებსაც.

ბახმაროს შესახებ გურიაში გავრცელებულია ლეგენდა, ვითომც თურქებს გაუტაციათ ლამაზი ქალი, სახელად მარო. გურულები დასდევნიებიან გამტაცებლებს და მიუმწყვდევიათ სწორედ იმ ადგილას, რომელიც ამჟამად ცნობილია ბახმაროს ცენტრალურ ნაწილად. გამტაცებლებმა ველარ შესძლეს გატაცებული ქალი ხელით ეტარებიათ. მათ არ სურდათ ქალის ცოცხლად დატოვება. ამიტომ მოუკლავთ იქვე და მისივე სისხლით ტანზე თურქულად წაუწერიათ „ბახ-მარო“. ბახ—თურქულად ნიშნავს—შეხედე. ამ წარწერის აზრი, ალბათ, ასეთი იქნებოდა: აი! შეხედეთ თქვენს მაროს!

ინტერეს მოკლებული არ იქნება, მოკლედ შევეხოთ გურიაში ტყვეებისა და მონების ყიდვა-გაყიდვის საკითხს და იმ სოციალურ-ეკონომიურ პირობებს, რომელიც ჰქმნიდა ნოყიერ ნიადაგს „ამჟსაზიზლარ“ მოვლენის წარმოშობა-განვითარებისათვის.

როგორც ვიცით ტყვეების ყიდვა-გაყიდვა ძლიერ გავრცელებული იყო არა მარტო გურიაში, არამედ თითქმის მთელ საქართველოში, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. უფრო მეტად გავრცელებული იყო გურია-სამეგრელოში და აფხაზეთში.

საქართველო მე-17—18 სს. განიცდიდა დიდ სოციალურ-ეკონომიურ ძვრას. პოლიტიკური-სახელმწიფოებრივი დაქსაქსვა, სამეფოებად და სხვადასხვა სამთავროებად დაყოფა, მტრების მუდმივი შემოსევათარეში, თავადაზნაურთა, მსხვილ მემამულეთა ურთიერთ შორის მუდმივი ინტრიგა, მტრობა, შური და მათ მიერ გლეხების უმოწყალოდ გაყვლეფა—ყველაფერი ეს გლეხებს უქმნიდა აუტანელ ეკონომიურ სილატაკეს, ეკონომიურ განადგურებას; ამ სილატაკესთან ერთად მე-18 საუკ. დასასრულს და მე-19 ს. დასაწყისში გლეხობას თავს დაატყდა საშინელი შიმშილობა და 1810 წელს თურქეთიდან შემოსული ჟამი, რომელმაც მუსრი გააველო მოსახლეობას.

ამის შესახებ, შემოქმედის მონასტერში არსებულ „გულვანში“ არშიაზე მიწერილია შენიშვნის სახით: „ჩყიბ (1812) წელსა დიდი შიმშილობა იყო და შემდეგ ჟამი გამოჩნდა იმავე წელში“.

შიმშილობისა და ჟამის მსხვერპლი გამხდარა 32.150 ადამიანი.

აი ასეთ ქარტახილის პერიოდში, ეს დამატებით უბედურება, ტყვეებისა თუ მონების ყიდვა-გაყიდვა უკვე სისტემატურ ხასიათს ატარებდა და ერთგვარ შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა იმათთვის, ვინც ასეთ საზიზღრობას ჩადიოდა—თურქებს და სხვა მტრებს აწვდიდა უამრავ ტყვეებს, რის შედეგად, ცხადია, გალატაკებულ გლეხობის ეკონომიურ ტრალედიას ერთოდა მთელი ოჯახის ან რომელიმე წევრის მოსალოდნელ გატაცებისაგან გამოწვეული შიში, ანდა ამათუიმ ოჯახიდან უკვე გატაცებულ წევრის გამო ამავე ოჯახის, მუდმივი მწუხარება და გლოვა. საერთოდ, „საქართველოს ტყვეებით ვაჭრობას ხელს უწყობდა თურქეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის მუსულმანური ქვეყნის (ჩერქეზეთი, ყაბარდო, დაღესტანი და სხვ.) მეზობლობა, სადაც ფართოდ იყო გავრცელებული ტყვეების ყიდვა-გაყიდვა. თურქეთის სამფლობელოთა ფაშები და სერასკირები, რომელიც თავზარს ცემდნენ და აოხრებდნენ სამთავროებად დაყოფილ საქართველოს და მთელ ამიერ-კავკასიას, ხშირად აშკარად მოითხოვდნენ მონობით ვაჭრობას და ილაშქრებდნენ საქართველოში ტყვეებით ვაჭრობის მოსპობისაკენ მიმართულ ღონისძიებათა წინააღმდეგ“.

ამ ტყვეებს ცვლიდნენ პროდუქტებზე და, ამრიგად, ეს ტყვეები თითქმის მთავარ საშუალებას წარმოადგენდნენ უცხოეთის საქონლის შესაძენად. მონების ყიდვა-გაყიდვის პუნქტებს საქართველოში წარმოადგენდა ახალციხის, ფოთის და ანაკლიის ბაზარი.

საქართველოდან ტყვეები გაჰყავდათ გასაყიდათ თურქეთში, ირანში და ეგვიპტეს ბაზარზე.

მოტაცებულთა შორის იყვნენ აგრეთვე ლამაზი ქალები, რომელთაც აწოდებდნენ, უმთავრესად, კონსტანტინეპოლის ჰარამხანებს; იტაცებდნენ ბავშვებსაც. ტყვეების ნაწილს მონებად აქცევდნენ, ხოლო ნაწილი კი (მამაკაცები) მიდიოდა იანაჩარის (თურქეთის), ან მამელუკების (ეგვიპტეში), მილიციის შესავსებად.

საქ. მთავარსარდალი პავლე ციციშვილი ზემდგომ ორგანოებში წარდგენილ ბარათში 1804 წ. 25 IV — ამბობს: „მთელი მამელუკები ტყვედ ნაყიდი ქართველებისაგან შესდგებიანო“ (იხ. პ. გუგუშვილი — ფულის ტრიალი საქ. და ა-კავ. მე-19 საუკ. გვ. 48).

ვინ ეწეოდა, ან ვინ უწყობდა ხელს ტყვეების ყიდვა-გაყიდვას ჩვენში? ესენი იყვნენ საგრძნობი ნაწილი ადგილობრივ თავადაზნაურებისა, მთავრებისა; ზოგ იმათგანს — ეს გმირობათაც კი მიაჩნდათ. უან შარდენი, რომელმაც იმოგზაურა საქართველოში — 1672 წელს, 10 სექტემბერს გემით მოადგა სამეგრელოს ნაპირს. მას სურდა ეყიდა თავისთვის სურსათ-სანოვაგე. შარდენი ამბობს: „მე ძლიერ გავკვირდი და შევწუხდი, როდესაც ვერავითარი საზრდო ვერ ვიპოვე საყიდლად. ბაზარში ვნახე მხოლოდ გასასყიდათ შებოროტი მონები და რამდენიმე ტიტველი კაცი შვილდ-ისრით ხელში, რომელთაც ხალხი უფროთხოდა. ამ გემზე ყოველ საღამოს, მონებს და ბავშვებსაც კი ერთიმეორეზე გადააბამდნენ წყვილ-წყვილად, ხოლო დილას ჯაჭვებს ახსნიდნენ; ეს ხმაურობა არასოდეს არ მაძლევდა მოსვენებას და მწუხარებით მაგსებდა... გემზე იყო 40 მონა, რომელიც გემის კაპიტანმა, თურქმა და ქრისტიანმა ვაჭრებმა შეიძინეს იარაღზე, ტანისამოსზე და სხვა საქონელზე გადაცვლით“. იმავე შარდენის გადმოცემით, ერთ ბერძენ ვაჭარს 12 ეკით უყიდია ქალი ძუძუმწოვარა ბავშვით: „ქალი იყო 25 წლისა, წარმტაცი, თოვლივით თეთრი სახით. მე არასოდეს არ მინახავს უფრო ლამაზი მკერდი, უფრო ნაზი კისერი, რომელსაც მთლიანი თეთრი ფერი ჰქონდა. ეს ლამაზი ქალი ერთსა და იმავე დროს მაყურებელში იწვევდა ნდობასაც და მწუხარებაში თანაგრძნობასაც“. (იხ. უ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში ვ. ბარნოვის თარგმანი, სახელგამი 1935 წ.).

ისტორიკოსმა, ს. კაკაბაძემ „საისტორიო მოამბეში“ (1925 წ. ტ. I, გვ. 182) გამოაქვეყნა საბუთი, სადაც მამია გურიელი (მე-17 საუკ.) პირობისა და ფიცის სიგელს იძლევა რომ:

„ბრძანებათა მღრთისათა მისაქცევლად ჩვენთვის წარმოგზავნილსა მამასა ჩვენსა წმინდასა ბესარიონს, ამა პირსა ზედან, რომე ჩვენს საბატონოშიდ მოხველით და ტყუის აღთქმისა დადება გვიქადაგეთ, ჩვენცა შევისწავეთ და ჩუნსა საბატონოს კაცსა გაუსყიდველობისა აღთქმისა საფიცარი გამოვართვით, რომ ჩემმა საბატონოს კაცმა ტყვე ვეღარ გასყიდოს და ჩვენცა ეს აღთქმა დაგუიცი დღეს ამას იქით ჩვენთვის საქნელად და სასარგებლოდ რომ მოიხმარებდეს და ან სასმელ-საჭმელშიდა ჩუნ ტყვე აღარ გავსყიდო; ვინცა ჩვენმან ყმამან ეს ფიცი და პირობა მოგვცა და გაგვიმტყუნდეს, რაც ღმერთისა და ბატონის შემცოდეს სიაგე ფერობდეს, იმ რიგად მოვეპყრათ; რაც ხვანთქარისა და ვეზირის მართებულობა და საბრძანებელი შემოგვივარდეს, რომ მტრისაგან არ ვიჩაგროდეთ, ან ქვეყნის შემოსავლები საქმე მოგვიხდეს, თვარა მას გარეთ ეს ასე გაგითაოთ. ამ ქვეყნის კაცსა და ან ჩუნ სასახსროთ ცოლი ან შვილი, ძმა ან ყმა არ შეგვექნას, იმას გარეთ ასე გავათავოთ, არც ჩემს ქრთამშიდ ყმას ტყვე გავაყიდვინო.“

განვლო საკმაო დრომ. კიდევ გურიის მთავარი მამია გურიელი ატყობინებს გენ. ერმოლოვს: „1819 წლის 9 აპრილს სოფ. ასკანას დაესხა ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილი, თურქეთის ქვეშევრდომი, იგი შემოიჭრა მთელი რაზმით და გაიტაცა რამდენიმე კაცი. მაგრამ, სწრაფად თავმოყრილი გურულები დაედევნენ, წაეწივნენ და, ცხარე ბრძოლის შემდეგ, ტყვეებიც დაატოვებინეს და დიდი ზარალიც მიაცენეს“ (იხ. პ. გუგუშვილი „ტყვეებით ვაჭრობა საქართველოში“, მნათობი, 1938 წ. № 11).

იყვნენ ისეთნი, მათ შორის მეფის მოხელეებიც, რომელთაც ამ მხრივ სხვებს გადააჭარბეს და ერთგვარი რეკორდი დაამყარეს. მაგ. სამეგრელოში—ცნობილი მრისხანე თავადი ბეჟან მხეიძე, აზნ. ბეჟუკი გამსახურდია, რომელიც 4 გოგოს გატაცებისა და თურქეთში გაყიდვისათვის გადასახლებული იქნა ციმბირში, აფხაზეთში—ქელემბერ შერვაშიძე, თემუყვა ანჩაბაძე, დათა ანჩაბაძე, ალ. შერვაშიძე, სესირყვა ემუხვარი, ჯამულეთ მარღანია და ჰასან მარღანია, ხოლო, გურიაში მაიორი დავ. მაჭუტაძე და მისი შვილი ალექსანდრე.

ესენი ტყვეებს ყიდდნენ უმთავრესად ფოთში მუსულმან ვაჭრებზე. 1828 წ. პასკევიჩს აცნობებენ, რომ „მაიორი მაჭუტაძე თავისი რაზმით თავს ესხმის მეგრელებს, ხოლო 31 მაისს მათ გაიტაცეს 13 კაციო“. როგორც საბუთებიდან ირკვევა, მაჭუტაძეს მფარველობას უწევდა სოფიო გურიელი, რომელიც იმ დროს გურიას განაგებდა.

1809 წ. გენ. ორბელიანის მიერ ფოთის ალებით თითქმის უნდა აღკვეთილიყო მონების გაყიდვა, მაგრამ, როგორც ვიცით, ცარიზმი იძულებული გახდა ფოთი ისევ დაებრუნებია თურქებისათვის, რამაც უფრო გაათამამა ტყვეებით მოვაჭრენი და „ჯერ კიდევ ხუთი თვე არ იქნება, რაც თურქებმა დაიბრუნეს ფოთის ციხე და უკვე თურქთაგან წაქეზებულმა აფხაზებმა იქ ჩაიყვანეს და გაყიდეს ჩვენი სარწმუნოების 200—300

კაცი“. (ლევან დადიანის მიმართვა გენ. რტიშჩევისადმი 1813 წ. 16 მარტის თარიღით, იხ. პ. გუგუშვილის იმავე წერილში, მნათობი № 11). თავისთავად ცხადია, რომ ტყვეებით ვაჭრობა გურიაში, რომელიც უშუალო მესაზღვრე იყო თურქეთის, უფრო მეტად იყო გავრცელებული, ვინემ საქართველოს სხვა რომელიმე კუთხეში.

როგორც ვიცით, 1829 წ. ანდრეანოპოლის ტრაქტატით, თურქეთის საზღვრად მიჩნეული იქნა მდინარე ჩოლოქი.

გურიაში 1811 წელს მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა მთავარ მამია გურიელის დროს. უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ, 1825 წ. გურიის მთავრად დამტკიცებული იქნა მისი შვილი დავითი, რომლის მცირეწლოვანობის გამო, გურიის სამთავროს განაგებდა დედა მისი სოფიო. უკანასკნელი უკმაყოფილო იყო რა რუსეთის პოლიტიკის (უმთავრესად მთავრის ხელისუფლების შეზღუდვით) არაერთხელ ითხოვა, რათა მიენიჭებიათ მისთვის სრული დამოუკიდებლობა და რაკი უარი მიიღო, გადასწყვიტა დახმარებისათვის მიემართა თურქებისათვის. ის მთელ რიგ მსხვილ ფეოდალებთან ერთად თურქეთში გაიქცა. (1828—9 წ.წ.¹.)

თურქეთმა ვერ გაამართლა სოფიო გურიელის იმედები და იგი გადახვეწილობაში მყოფი გარდაიცვალა.

ცხადია, ამ ამბების შედეგად მოხდა საქართველოს და უფრო გურიის რუსიფიკაცია და კოლონიად გადაქცევა.

გურიაში ძლიერ გავრცელებული იყო კონტრაბანდული საქონლით ვაჭრობა, რომელიც ხელს უწყობდა აგრეთვე ტყვეების ყიდვა-გაყიდვის განვითარების საქმეს გურიაში.

რუსეთიდან შემოზიდული საქონელი (ტრანსპორტის სიძვირისა და სხვა მიზეზების გამო) გურიაში უფრო ძვირად ფასობდა, ვიდრე თურქეთიდან კონტრაბანდული გზის შემოტანილი საქონელი. მაგ. რუსეთის ნავთსადგურებით შემოტანილი მარილი ღირდა ფუთი 55 კაპ., თურქეთიდან შემოტანილი (კონტრაბანდი) 32¹/₂ კაპ. გარდა ამისა, თურქებს შემოჰქონდათ იათფასიანი მანუფაქტურა—უმეტეს ნაწილად ინგლისურ ფაბრიკის ნაწარმოები. კონტრაბანდისტებს საქონელი თავისუფლად შემოჰქონდათ ნავეებით—გურიის ნაპირებთან, ხოლო ხმელეთით გადმოჰქონდათ მდ. ჩოლოქით; ქობულეთში და შეკვეთილში კონტრაბანდული საქონლის მთელი საწყობები იყო გამართული. დიდი ნაწილი ამ კონტრაბანდისტებისა ეწეოდა მოტაცებულთა და, საერთოდ, ტყვეების ყიდვა-გაყიდვას.

ამავე დროს, გურიის ბატონების მიერ ყმების შევიწროებას გლეხები სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა. ზაქარია ჭიჭინაძეს, თავის წიგნში „საქ. ბატონყმობის ფაქტიური მასალები“ (ტ. II, გვ 123) მოყავს საინ-

¹ ადამიანების მოტაცება-გაყიდვაში ხელს უწყობდნენ აგრეთვე ოზურგეთში მცხოვრები თურქები, პროფესიით ვაჭრები, რომელთა რიცხვი 50 აღწევდა.

ტერესო ცნობა იმის შესახებ, თუ რას წერდა სოფ. შემოქმედის ყმა გლეხი მაზრის ხელისუფლებას:

„მე ვიყავი აზნაურ მამულაიშვილის ყმა, რომელმაც სულ პატარა ბავში მიყიდა. გასულ 1839 წ. მე უკანონოდ და ძალით წამიყვანა თავადმა ელისაბედ გურიელმა. ჩემს გამო ჩემს წინანდელ ბატონსა და გურიელს შორის ასტყდა დავა. თვითონ მე ფრიად გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარ, რადგან არც სამოსახლო მიწა მომეპოება. არც სახნავი. ერთადერთი ცხენი მყავდა და ისიც კნენამ წამართვა; ამით არსებობის უკანასკნელი საშუალება მომისპო. ორჯერ მივეცი განცხადება მსაჯულ ვაჩნაძეს, ვთხოვლობდი საქმის გარჩევას და ცხენის დაბრუნებას, მაგრამ ვაჩნაძემ მეორედაც ასე მითხრა: რა ვქნა, შენს ბატონს უფლება აქვს, რაც მოენებება, ის გიყოსო“.

მოვიგონოთ დათა გურიელის (პოეტ მამია გურიელის მამის), სასახლის ცხოვრებიდან რამდენიმე მომენტი. დათა გურიელი იყო უკანასკნელი მთავრის ძმისწული და ტახტის პრეტენდენტი. მათი სასახლე მოთავსებული იყო სოფ. ლესაში.

გურიელს დიდი სასახლე ჰქონდა, სადაც ცალკე და ფართო შენობა იყო აზნაურების და ჩამოსული სტუმრებისთვის; ჰქონდა აგრეთვე სპეციალური კარის ეკლესია. დიდ ეზოში მრავალი სამეურნეო შენობა იყო აგებული. მათ შორის აღსანიშნავი იყო საჯინიბო, სადაც გურიელს, სხვა ცხენებთან ერთად, ება არაბული მერანი, თურქეთის ფაშის ნაჩუქარი.

გურიელის სასახლეს შინაყმათა დიდ შტატი ჰყავდა. მათ შორის იყვნენ: ხელზემოსამსახურეები, ძიძები, მსახური ქალები, ბაზიერები, მეჯინიბეები, დალაქები, მცველები.

პოეტი მამია გურიელი დაიბადა 1836 წელს. მას ძველი ტრადიციის მიხედვით ზრდიდნენ. „სასახლის აზნაურები რიჟრაჟზე უკვე ფეხზე იყვნენ და ახალგაზრდა მამიას გაღვიძებას უცდიდნენ. ერთი მათგანი ჩააცმევდა, მეორე პირს აბანიებდა, მესამე დილის საუზმეს უმზადებდა, მეოთხე სუფრაზე ემსახურებოდა“. მამია ბავშვობიდანვე ტრიალებს სასახლის გარყვნილ ამალაში, მონაწილეობს ბურთაობასა და ჯირითში.

დათა გურიელის ოჯახში სტუმრები მუდამ გამოუღეველნი იყვნენ: აზნაურები, რუსის ოფიცრები, მოხელეები, სასულიერო პირები, დიდგვარიანები სამეგრელოდან, იმერეთიდან. ეს უამრავი ხალხი, რომელიც სასახლეში ტრიალებდა, სრულიად არაფერს აკეთებდა. დროს ატარებდნენ შემდეგნაირად: ეძინათ, ნარდს ან ჭადრაკს თამაშობდნენ, ბურთაობდნენ, ჯირითობდნენ, ნადირობდნენ.

სადილად სტუმრები უამრავ ღვინოს სვამდნენ; ორი ძროხა არ ჰყოფნიდნათ, მღეროდნენ, სადღეგრძელოებს ამბობდნენ. ხშირად შეხურებული მოსადილენი ჩხუბს დაიწყებდნენ. ასტყდებოდა ხანჯლების ტრიალი. გაც-

ხარებული მოჩხუბარნი იქ მყოფებს აღარ ერიდებოდენ და ერთმანეთს წამოსძახებდენ: ქურდი ხარ, ყაჩაღობ, გლეხებს ჰყიდის და სხვა. მხოლოდ დათა გურიელის მრისხანე შეძახება შეაჩერებდა ხოლმე მოჩხუბრებს.

ასეთი ცხოვრება, რასაკვირველია, დიდძალ ქონებას ნთქავდა. წვრილი თავადაზნაურობაც ცდილობდა გურიელისათვის მიებაძნა. დათა გურიელს 5 ათას ყმაზე მეტი ჰყავდა. მას ემორჩილებოდა 80 აზნაური თავთავიანთი ყმებით. გურიელის სამფლობელო შეიცავდა 17 ვერსს შავი ზღვის ნაპირიდან, იგი ბაჟს ართმევდა ყოველგვარ გემს, რომელიც კი გრიგოლეთს, ან მალთაყვას მიაღვებოდა.

გურიელი დიდძალ ფულადს ხარკს და ბეგარას ადებდა თავის ყმებს. გარდა ამისა, რათა თავისი გამოცალაიერებული ხაზინა შეეგვსო, იგი ხშირად ჰყიდდა ყმებს როგორც გურიაში, ისე თურქეთში. ზაქარია ჭიჭინაძის გადმოცემით:

„დათა გურიელი ცნობილია, ვითარცა უდიერი მებატონე და მტანჯველი ყმათა. იგი ავიწროებდა არა მარტო თავის ყმებს, არამედ სხვებისასაც, საეკლესიო გლეხებს ძალით თვით იყმობდა ხოლმე... სწორედ ასე მოექცა ჯუმათის საეკლესიო ყმებს კვაჭაძეებს. 1854 წ. დაეცა თავის ყაჩაღი აზნაურის და გლეხიშვილებით ამ ყმის ოჯახს, აიკლო მისი ოჯახი, წაართვა ყოველივე და უკანასკნელ თვით გლეხი დააბატონრა და ჰგვება სასტიკად...“

... მან ხარკის თხოვნას და ყმობასაც გადააბიჯა და თვით შვილების წართმევაც დაუწყო გლეხებს. მაშინ გლეხებმა ველარ მოითმინეს, ტყუილმოდვე მებატონეს დავა აუტეხეს და საქმე გამოსაძიებლად გადასცეს... მას არც რუსის მთავრობა უკრძალავდა (რასმე), მას როგორც სურდა, ისე სტანჯავდა, მთავრობაც ამის სრულ ნებას აძლევდა“ (იხ. პროფ. ხაჭაპურიძე—გურიის აჯანყება 1841 წელს, თბილისი, 1931 წ.)

ყმების ყიდვა-გაყიდვაში, და აგრეთვე ყმების ბავშვების, შინაყმა ქალების და მოზარდ ქალ-ვაჟთა მოტაცებასა და გაყიდვაში—ადგილობრივ. „ასეთი პროფესიის“ მქონე პირებს კავშირი ჰქონიათ მაჰმადიან ქართველთა შორის ტყვეებით მოვაჭრე განთქმულ პირთან: არ იფ-ფა შა ოღლი და იუსუფ ბეშქი ოღლისთან—რომელთაც მთელი ორგანიზაცია ჰქონიათ მოწყობილი ტყვეების შემსყიდველ-გადამყიდველებისა და ქობულეთში მცხოვრებ ასეთ ყაჩაღთა და მეთაურის ვინმე ხავთასის საშუალებით შესყიდულ ტყვეებს გზავნიდნენ თურქეთში.

ცნობილია, რომ ლევან გურიელს 1860 წ. თავისი რამდენიმე ყმა გაუყიდა ბათუმში, ხოლო ზურაბ ერისთავს თავის ყმისათვის წაურთმევნია ორი ქალიშვილი და თურქეთში გაუყიდა; 1856 წ. ბათუმის მცხოვრებ მუჰამედ-ფაშას, ბათუმიდან სტამბოლს გაუგზავნია გასასყიდათ ერთი გემი გურულ ქალ-ვაჟებით დატვირთული.

პროფ. გ. ხაჭაპურიძეს იმავე წიგნში ტყვეების ყიდვა-გაყიდვის შე-
სახებ მოჰყავს ფრიად საინტერესო ცნობები, რომელიც მისთვის გადა-
უცია სოფ. ლიხაურის მცხოვრებთ, ღრმა მოხუცებულებს, ალ. სურგულ-
ლაძეს და შევარდენ ლომჯარიას, რომელთაც კარგათ ახსოვთ
თურქეთში ყმების გაყიდვის მრავალი ფაქტი. ალ. სურგულაძემ
უამბო რომ:

„დედაჩემი პელაგია ახალგაზრდობისას გაიტაცეს და ქობულეთში გაჰყიდეს. ნათე-
სავებმა ძლივძლივობით მიაგნეს მის კვალს და გამოისყიდეს იმავე რაიონის სოფ. ჭანიეთ-
ში. 1926 წ. მოკვდა 132 წლის მოხუცი შევარდენ ლომჯარია. მიუხედავად თა-
ვის ხნოვანებისა, მას უკანასკნელ დღეებამდე შერჩენოდა ნათელი მეხსიერება და დიდი
ენერგია. შევარდენ ლომჯარია, რომელიც ერთ საუკუნეზე მეტს ცხოვრობდა, ცოცხალი
ისტორია იყო, ძალიან მჭევრმეტყველური თბრობა იცოდა წარსული ამბებისა და საინ-
ტერესო ფაქტებისა. 7 წლისა ყოფილიყო შევარდენი, როდესაც იგი შინაყმად წაყვანა
ადგილობრივ მებატონეს ქაიხოსრო თაყაიშვილს. მებატონის სახლში შევარდენი ფრიად
მძიმე სამუშაოს ასრულებდა და დღედაღამე მოსვენება არ ჰქონდა. ხშირად, სულ
მცირეოდენი დანაშაულობისათვის, მკაცრად სჯიდნენ ხოლმე. მებატონის წაქეზებით
შევარდენმა ახალგაზრდობიდანვე ხელი მოჰკიდა კონტრაბანდისტის სახითაო ხელო-
ბას. 1841 წელს შევარდენმა სხვებთან ერთად მიატოვა მებატონის სახლი და ფრიად
აქტიური მონაწილეობა მიიღო გურიის აჯანყებაში.


ხსენებული ლომჯარიას სიტყვით, 1840-იან წლებში ქობულეთის რაიონში ცხოვ-
რობდა ცნობილი აჭარელი ოქროპირ-ოღლი. იგი გურიიდან იტაცებდა ახალ-
გაზრდა ვაჟებსა და ქალებს, აგრეთვე ბავშვებს და მიჰყავდა გასაყიდად ბათუმის ბაზარ-
ზე. და აი, ერთერთი თავდასხმის დროს ოქროპირ-ოღლიმ მოიტაცა შევარდენის უფ-
როსი და—ძილიხანი.

ძილიხანსაც ის ბედი მოელოდა, რაც სხვებს: მას გაჰყიდიდნენ და დაიღუპებოდა
სამშობლოდან სადმე შორს, გადაკარგულში. მაგრამ ძილიხანი თავისი სილამაზით ისე
მოეწონა ოქროპირ-ოღლის დედას, რომ შევიღს ხვეწნა დაუწყო: ამ გურულ ქალს ნუ
გაჰყიდი, ცოლად შეირთეო. ოქროპირ-ოღლიმ დედას დაუჯერა და მართლაც ცოლად
შეირთო ძილიხანი. გარდა ამისა, მას ისე შეუყვარდა იგი, რომ თავი მიანება თავის
სამარცხვინო ხელობას, მოძებნა ცოლის ნათესავეები, შეურიგდა მათ და ძილიხანს ნება
მისცა ქრისტიანად დარჩენილიყო. ხანგამოშვებით ოქროპირ-ოღლი დადიოდა ცოლ-
შვილით გურიაში ცოლის ნათესავეებთან. იმ დროს, როდესაც ძილიხანი ეკლესიაში
შევიდოდა სალოცავად, ოქროპირ-ოღლი გალავანში უცდიდა და გურულებს ებაასე-
ბოდა. ქობულეთის რაიონში ახლაც არიან ძილიხანის შვილიშვილები და შვილის
შვილიშვილები. მათ ახსოვთ თავიანთი წინაპრები და ლომჯარიებთან ახლაც ნათესა-
ური დამოკიდებულება აქვთ.

შევარდენს ჰყავდა მეორე და—ეკა (ეკატერინე) ერთხელ, როდესაც იგი დაახლო-
ებით 16 წლისა იყო, შევარდენის შინ არყოფნისას, მათ ეწვიათ ახლო ნათესავი ლევან
ვასაძე. შევარდენის ცოლს მართას ლევანმა სთხოვა, ეკა გამოეშვი სოფ. აჭში თხილის
საკრეფადაო.

მართას ეჭვი არაფრისა ჰქონია და დათანხმდა. მოტყუებით გადაიყვანა ეკა აჭარის
ამავე სახელწოდების სოფელში და იქ გასაყიდად გადასცა აჭარელ ქვაზი-ოღლის.
შევარდენმა ძლივძლივობით, დიდი გაჭირვებით მიაგნო დის კვალს და მხოლოდ ადმი-
ნისტრაციის საშუალებით დაიბრუნა იგი.

3. 490
5. 201
3



დიად, მკაცრი დრო იყო—ხშირად იგონებდა შევარდენი. ჩვენს ბავშვებზე, როგორც ქორი წიწილებზე, ნადირობდნენ აჭარლები, ჩვენებურივე თავადაზნაურნი, ხშირად გლეხებიც, რომელთაც თავის ხელობად გაეხადნათ ეს შემადრწუნებელი საქმე-ვცხოვრობდით ჭაობებში, ხშირ, გაუვალ ტყეში. საკმაო იყო ბავშვი სახლს ოდნავ დაშორებოდა, ან დაყოვნებულიყო რისთვისმე, სტაცებდნენ ხელს, გადამალავდნენ ტყეში და მერე ჰყიდდნენ თურქეთში. როდესაც ბავშვები ძახილზე არ გაგვაგონებდნენ, პირველად ესევე აზრი მოგვივიდოდა ფიქრად—ხომ არავინ მოიტაცაო. მახსოვს ამნაირი შემადრწუნებელი ამბავი. დაახლოებით 1858 წლებში ჩვენს სოფელში ასტყდა ერთი ალიაქოთი, ყიჟინა და ხმაური. დღისით, მზისით, დაიკარგა ერთი გლეხის 12 წლის ბიჭი. ბევრი ვეძებეთ, მთელი არემარე მოვიარეთ, მაგრამ ბავშვი ვერსად ვიპოვნეთ. მხოლოდ 40 წლის შემდეგ, სოფ. ქაქუთში (იმავე ლიხაურის რაიონში, ოსმალეთის საზღვართან) სიკვდილის წინ ცოდვები მოინანია საჯაროდ გლეხმა გრიგოლიამ. იგი გამოტყდა: ახალხაზრობაში ბავშვებს ვიტაცებდი და ვყიდდი, და სწორედ მე მოვიტაცე ის ბიჭიო. შემეშინდა მდევრებისა, ბავშვს პირში ბურთი ჩავჩარე და ტყეში ხეზე მივაბიო. რადგან ადრე მისვლა შეუძლებელი იყო, მხოლოდ მე-12 დღეს ვნახე ბავშვი. ჩემდა შესადრწუნებლად, ბავშვი ადამიანს აღარ ჰგავდა, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. თავისი ჯალათის დანახვაზე ბავშვს ცრემლის ღვრა დაუწყია და მორჩილად თავი დაუხრია, ამას ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია გრიგოლიაზე, რომ იქ ველარ გაჩერებულა და უკანმიუხედავად მოუკურცხლავს.

მებატონეთა შორის გავრცელებული იყო ჩვეულება ერთმანეთისათვის სხვადასხვა შემთხვევათა გამო ყმების ბავშვთა ჩუქებისა. ყმების ბავშვებს საჩუქრად დებულობდნენ გურულ მებატონეთაგან ხშირად რუსის ოფიცრები და მოხელეები. რუსეთს წაყვანილი ასეთი ბავშვები უკან ველარასოდეს ვერ ბრუნდებოდნენ.

ტყვეების ყიდვა-გაყიდვისათვის დამნაშავენი ისჯებოდა არსებული კანონის მიხედვით, მაგრამ, ცხადია, ეს კანონი ყველას მიმართ ერთნაირად არ ვრცელდებოდა. მეფის მოხელეები, გაბატონებულ კლასის წარმომადგენლები, ნაკლებად ან სრულებით არ ისჯებოდნენ, როგორც ვიცით, მათ ჰქონდათ ნივთიერი ინტერესი ტყვეებით ნავაჭრით შემოსულ თანხასთან. საბუთებიდან ჩანს, რომ ძლიერ სასტიკი ყოფილა ხალხის განაჩენი. დამნაშავეთ კოცონზე სწვავდნენ ან მიმართავდნენ ე. წ. შანთსა ან მღულარე წყალს. არჩევანი ამ სასჯელში თვით დამნაშავეს ეკუთვნოდა.

ამ მხრივ საინტერესოა 1821 წლის საბუთი, ისტორიკოს დ. ბაქრაძის მიერ გამოქვეყნებული, რომელიც ეხება ბრალდებულის მიერ შანთის აღებას. როგორც ჩანს, ბრალდებულს ბრალს სდებდნენ მთელი ოჯახის მოტაცებასა და თურქეთში გაყიდვაში. საბუთში ნათქვამია:

„სასწორო და სამართალო: ღმერთო: მამაო: ღმერთო ძევო, ღმერთო სულთ წმინდავო: გეაჯები მე საწყალობელი აბდურამან ქათამაძე. მე რომ გიორგი თაყაიშვილი მეწამება იორდანე ლომჯარია და მისი ცოლშვილი: შენი სიტყვით და საქმობით თათრებმა მოთხროვო: თუ იორდანე ლომჯარია და მისი ცოლშვილი ჩემი სიტყვით და საქმობით მოთხროილიყოს ან თავშიდ ან ბოლოშიდ გამამტყუნე და რაც მტყუანს უნდოდეს ის მიქენი: თუ ჩემი სიტყვით და საქმობით არ მოთხროილიყოს იორ-



დანე ლომჯარია და მისი ცოლშვილი: გამამართლე და ამ რკინის ცეცხლიდამ
ლად გამომიყვანე და სხვას ჩემს ცოდვას ამაშიდ ნუ მკითხავ: შენი სწორმოუფერებელი
სამართალი გამოაცხადე ჩემს ცოდვილ თავზე... უფალო ამინ“.

შემოქმედელ მღვდელს, გიორგი დუმბაძეს, ღრმად მოხუცე-
ბულს, 1873 წელს უამბნია დ. ბაქრაძესათვის, რამდენიმე მაგალითი, რომ
ის ყოფილა მოწამე დამნაშავეთა შანთით, ან მღუღარე წყლით დასჯისა.
ეხლაც, ამ სოფელში, შემოქმედში, ზოგიერთ ჩემს მეზობლებს,
ღრმად მოხუცებულებს, რომელთაც კარგად ახსოვთ მღვდელი გიორგი
დუმბაძე, არაერთხელ გადმოუციათ ჩემთვის ამ მღვდელის ნაამბობი დამნა-
შავეთა ასეთ სასტიკად დასჯის შესახებ. ამ ერთი წლის წინათ გარდა-
ცვლილი, ჩემი სოფელი, 115 წლის მოხუცებული, ლაზარე ჩიტაი-
შვილი, როგორც მან გადმომცა, ბავშვობისას თვით ყოფილა მოწამე
და დამსწრე ასეთი სასჯელის 2—3-ჯერ შემთხვევისა.

ამ ღრმა მოხუცებულმა, ლ. ჩიტაიშვილმა, რომელმაც, სხვათა შო-
რის, ბევრი საინტერესო ცნობები გადმომცა გურიის წარსული ცხოვ-
რებიდან, მიამბო რამდენიმე შემადრწუნებელი სურათი ქალ-ვაჟთა და
ბავშვების მოტაცების შესახებ, რომელიც ძლიერ გავრცელებული ყო-
ფილა როგორც ჩვენს სოფელში, შემოქმედში და, საერთოდ, მის მახლო-
ბელ სოფლებში, როგორც თურქეთის საზღვართან (საზღვარი იყო ჩოლო-
ქი, ე. ი. სულ რაღაც 7—8 ვერსი) ახლოს მდებარე რაიონთან.

ამავე სოფელი, დიმიტრი არონიში და ორი მისი ამხანაგი
მისულა ღამე თავის ახლო მეზობლის ოჯახში, სადაც ყოფილა მხოლოდ
დედა ორი ბავშვით; მათ გაუტაცნია ეს ორივე ბავშვი, წაუყვანია ჩო-
ლოქს ახლო ტყეში, იქ დიდხანს უცდია შეპირებულ თურქებისათვის,
მაგრამ, რადგან დაავიანეს, ეს ორი ბავშვი ჩაუსვამს დიდ ხის ღრუში,
თვითონ გაბრუნებულა უკან სხვა ბავშვის მოსატაცებლად, რადგან, თურ-
მე, შეპირებას ყოფილა სამი ბავშვი უნდა ჩაებარებინა თურქებისათვის.
როცა დაბრუნებულან სოფელში—მესამე ბავშვის მოტაცება ვერ მოუხერ-
ხებიათ, რადგან ამ ოჯახში ბავშვის მამა დახვედრია სახლში, ისევ გა-
ბრუნებულა უკან, რომ არ დაგვიანებოდა და მიესწროთ შეპირებულ
თურქებისათვის. მაგრამ დახე საშინელებას! როცა მისულან, უნახავთ, რომ
ორივე ბავშვისათვის გველებს თვალები ამოურთმევია, ბავშვებს გველები
კამდნენ. ამ სურათის დანახვაზე შეშინებულან და უკან გამოქცეულან.
რამდენიმე დღის შემდეგ, მიბრუნებულან და უნახავთ ხის ღრუში, საშინელი
წამების, ტანჯვის მსხვერპლი, გველებისაგან დაჭმული ბავშვების გვამები.

აი მოკლე სურათი ყველა იმ უმსგავსოებისა, სიმახინჯისა, რომელსაც
ადგილი ჰქონდა ძველს გურიაში ცხოვრების უკუღმართი პირობების გამო
და რა გასაკვირია, რომ ზემოაღნიშნულ ლეგენდას—სახელწოდება „ბახმა-
როს“ წარმოშობის შესახებ კავშირი ჰქონდეს ისტორიულ სინამდვილესთან.

ვინ აღმოაჩინა ბახმარო

ბახმარო, როგორც კლიმატური სადგური და სამკურნალო ადგილი, აღმოჩენილია ექიმ დავიდიანცის მიერ.

სამედიცინო ლიტერატურაში ბახმაროს აღმოჩენის შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ ორი—სამი წერილობითი ხასიათის ცნობა მოიპოვება, რომელიც საჭიროებს ნაწილობრივ კრიტიკულ შემოწმებას. ერთი ცნობა ეკუთვნის ბახმაროს დიდ მოამაგეს, განსვენებულს ექ. ა. ინგოროყვას („ბახმარო“), მეორე ექ. ვადაჭკორიას—(„მალარია გურიაში“). დასახლებული პირების აზრით, ექიმ დავიდიანცს ბახმარო აღმოუჩენია 1895—96 წლებში. მაგრამ იმ პირთა მოწმობით, რომლებიც იცნობდნენ პირადად ექ. დავიდიანცს (პროკოპი ბერეჟიანი, ექ. ვადაჭკორია, ბ. კალანდაძე და სხვები (ზოგი მათგანი ახლა გარდაცვლილია) მტკიცდებოდა, რომ ბახმაროს აღმოჩენის თარიღად მიჩნეულ უნდა იქნას 1893—94 წლ. როცა ექ. დავიდიანცის მიერ ბახმაროზე პირველად იყვნენ გაგზავნილი ავადმყოფები: დიმიტრი ქიქოძე, ნესტორ და მ. კონტრიძეები, ი. საბაშვილი და სხვ. რომელნიც ერთი სეზონის განმავლობაში თითქმის საბოლოოდ განიკურნენ. ამ გარემოებას დავიდიანცი განცვიფრებაში მოუყვანია.

ექ. არტემ ავეტის-ძე დავიდიანცი მსახურობდა ოზურგეთში მაზრის ექიმად—1875—1899 წ.წ. იგი თითონ შეპყრობილი ყოფილა ტუბერკულოზით, მას გურიაში იცნობდნენ, როგორც კარგ ექიმს-თერაპევტს. ის გარდაცვლილა თბილისში 1900 წელს. ექ. ვადაჭკორია გადმოგვცემს, „რომ დავიდიანცს ჰყავდა შრავალი ციებიანი ავადმყოფი და ამავე დროს ციებიან-ტუბერკულოზიანებიც. ამათ ჰგზავნიდა სხვადასხვა ადგილას: აბასთუმანში, სურამში და სხვ., მაგრამ ამით ავადმყოფები სრულიად განკურნებას ვერ აღწევდნენ. ერთხელ მისულ ავადმყოფს მწყემსს ციებასთან ტუბერკულოზიც აღმოაჩნდა. ექიმმა მწყემსს ურჩია წასულიყო ბახმაროს რაიონში და თან გაატანა წამლები.

პირველ წელიწადს დავიდიანცს ბახმაროზე გაუგზავნია მარტო ქრონიკული ციებით შეპყრობილი ავადმყოფები, მეორე წელიწადს—ციებ-ტუბერკულოზიანები.

დაბრუნებისას ავადმყოფების უმეტესი ნაწილი განკურნებული აღმოჩნდა. ის სიმპტომები, რომელნიც მათ ახასიათებდათ: სისხლის დენა ცხვირიდან, პროცესები ფილტვებში, ელენთა და ღვიძლის ძლიერ გადიდება, წონის დაკარგვა, უძილობა და ნერვულობა. ყველა ეს მოვლენა საგრძნობლად შემცირებულიყო. ამით დაინტერესებული ექიმი, თვითონვე გაემგზავრა. მან მოიარა თითქმის უმეტესი ნაწილი აჭარა-გურიის მთებისა. მათ შორის, ყველაზე მეტად ბახმარო მოწონებია. დავიდიანცმა

ბახმაროზე თავისთვის შეუკვეთა ერთი სახლის გაკეთება და გურიის მცხოვრებთაც ურჩევდა — მათაც გაეკეთებინათ სააგარაკო სახლები.

ცხადია, დავიდიანცის ამ პირველმა ნაბიჯმა, რომელიც, იმდროინდელი უგზოობისა და სხვა ტექნიკური მიზეზების გამო, დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, საფუძველზე ჩაუყარა მომავალ დიდი მნიშვნელობის კურორტს.

დავიდიანცი მეორედ 1894 წელს გაემგზავრა ბახმაროზე ფერშლების: არსენ ვადაჭკორიას, ბერეჟიანის და სხვების თანხლებით. ეს იყო ერთგვარი „სამეცნიერო ექსპედიცია“ ბახმაროს შესასწავლად. „ექსპედიცია“ გულდასმით სწავლობდა სხვადასხვა სენით შეპყრობილ მოაგარაკეთა დაავადებას. აწარმოებდა რეგისტრაციას და მკურნალობდა ავადმყოფებს. ამ ექსპედიციის ჩატარების შემდეგ, ბახმარომ მეტი პოპულარობა მოიპოვა გურიაში, მოაგარაკეთა რიცხვი ბახმაროზე ყოველწლიურად იზრდებოდა. მრავალი სახლი შენდებოდა. ბახმაროზე მიმავალი ავადმყოფებისათაგან ხშირად გაიგონებდით: „ერთხელ კი ვნახო ბახმაროს კალთები და შემდეგ მოვკვდე, აღარ ვინანებ, ბახმარომ თუ ვერ მომარჩინა, სასიკვდილოდ განწირული ვყოფილვარ და ბედს უნდა შევუარიგდეო“.

ზოგიერთი ცნობანი კურორტ ბახმაროს დაარსების ისტორიიდან:

(გამოხმაურება პრესაში; პირველი მოსახლენი; მომხმარ. საზოგ. „ჯანმრთელობა“; წყალსადენის გაყვანა და სხვ.)

საინტერესოა, როგორი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს პრესაში ამ შესანიშნავმა კურორტმა.

სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში, ჩვენის წინასწარი გამორკვევით 1900 წლიდან დღევანდლამდე, ბახმაროს შესახებ მოთავსებული ყოფილა დაახლოებით 190-მდე წერილი. ამ წერილების უდიდესი ნაწილი უმთავრესად ეხება კურორტის გაუმჯობესებას, მისი კეთილმოწყობის და სამკურნალო თვისებების გამორკვევას, საზ. „ჯანმრთელობი“-ს მუშაობის გარდაქმნას და სხვ.

ბახმაროს შესახებ ქართულსა და რუსულ ენებზე გამოცემულია რამდენიმე ბროშურა¹.

¹ არსებული ლიტერატურის სია დართულია ბროშურის ბოლოში.

დავიდიანცის ენერგიული მუშაობა ბახმაროსთვის დიდ ინტერესს და წახალისებას იწვევდა ხალხში.

დავიდიანცის შემდეგ ბახმაროზე პირველად ააგეს სახლები: კალენიკე და სერგო ქარცივაძეებმა, დიმიტრი ცეცხლაძემ, ტელემაკ გურიელმა, კოწია ერისთავმა. გიორგი ბერიძემ, თედორე ნაკაშიძემ და სხვ. ისინი, ცხადია, როგორც თავადაზნაურული და ბურჟუაზიული წრის წარმომადგენლები, გურიის ღარიბ მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებით კი არ იყვნენ დაინტერესებულნი, არამედ ოთახების გაქირავებით. მოაგარაკეთა რიცხვი მშრომელი მოსახლეობიდან თანდათან მატულობდა, რასაც ხელს უწყობდა ხალხში გავრცელებული ხმა: „ექ. დავიდიანცს ბახმაროს რაიონში ისეთი ადგილი აღმოუჩენია, რომელიც თურმე, კლექიანებს არჩენსო“.

სახლების აშენების პირველ ხანებში აგარაკზე სავაჭრო წერტილი არ ყოფილა. პირველად ბახმაროზე სავაჭრო წერტილი გახსნა კასიანე ქინქლაძემ, მას ჰქონდა თონე, იქვე ყიდდა მაწონს და რძის ქაშს.

ბოლოს, სახლების აშენებას ხელი მოჰკიდეს გლეხებმაც, ცხრაასიან წლებში გურიაში რევოლუციური მოძრაობის სიომ დაჰქროლა. ეს მოძრაობა თანდათან ღრმავდებოდა: რევოლუციური მოძრაობის, ანუ, როგორც მაშინ გურიაში ეძახდნენ, ახალთაობის წევრებიც მოხვდნენ მოაგარაკეთა შორის, მათ ბახმაროს კეთილმოწყობის ინიციატორთა ჯგუფის მუშაობაში დიდი ცვლილებები შეიტანეს.

ამ ახალთაობის წევრების ინიციატივით ჩამოყალიბდა (1900—1 წ.) ბახმაროს მომხმარებელი საზოგადოება „ჯანმრთელობა“, რომლის ხელშიც გადავიდა აგარაკის მთელი მართვა-გამგეობა, მისი კეთილმოწყობა და ორგანიზაციული საქმეები.

ამ საზოგადოების მთავარი საზრუნავი საგანი იყო: გზის შეკეთება, სახლების აგებისათვის ხელისშეწყობა, წყალსადენის გაყვანა, კოოპერატიული სავაჭროების გახსნა და სხვ.

„ჯანმრთელობის“ გამგეობას მოაგარაკენი ირჩევდნენ. „ჯანმრთელობის“ გამგეობის მიერ ჩატარებული მუშაობიდან აღსანიშნავია: წყალსადენის გაყვანა, რომელიც დაიწყო 1908 წლიდან და დასრულდა 1914 წ. ამ საქმეში განსაკუთრებული ენერგია გამოიჩინეს დ. ცეცხლაძემ, ვ. გიორგაძემ, ალ. ინწკირველმა, ვლ. მგელაძემ, ა. თოდრიამ და სხვ.

გამგეობამ გახსნა ორი სასადილო, ორი სარძევე, სამი სასურსათო წერტილი, ორი პურსაცხობი, გამგეობა კონტროლს უწევდა კერძო სავაჭროებს, სანიტარულ-ჰიგიენურ საკითხებს ხელმძღვანელობდა გამგეობის მიერ გამოყოფილი კომისია, რომელშიაც, გამგეობის წევრების გარდა, შედიოდნენ მოაგარაკეთა მიერ საზოგადო კრებაზე გამოყოფილი პირები. სხვადასხვა დროს კომისიაში მუშაობდნენ ექიმები და ფერშლები:

ა. ინგოროყვა, კაკიანაკაშიძე, ვლ. ჟღენტი, გერ. ურუშაძე, ვ. შარაშენიძე, ელისო კალანდაძე, არ. ვადაჭკორია, სანდრო შონია, ხარ. ჭელიძე, პროკ. ბერეჟიანი, ვლად. ცეცხლაძე, მიხაკო ცეცხლაძე, სერ. ბერძენიშვილი, ვასო ოთხმეზური და სხვ. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე პროფ. ი. მოსეშვილი. გამგეობას გამოყოფილი ჰყავდა შემდეგი კომისიები: გზის კომისია, სასურსათო და საკონტროლო კომისია, ტყეებისა და საკურორტო ზონის დამცველი კომისია. გზის შეკეთება ხდებოდა გამგეობის მიერ გადაღებული და მიზნობრივად შეკრებული თანხებით, აგრეთვე წარმოდგენებიდან და შემოწირულებით შეგროვილი ფულით.

თეატრი ბახმაროში

1899 — 1900 წწ. აგებული იქნა სახალხო სახლი და თეატრი. პირველი მსახიობები იყვნენ: ალ. წუწუნავა, ევ. წუწუნავა, სამსონ წუწუნავა, კოლია ბებურიშვილი და სხვ.

1899 წ. პირველი წარმოდგენა ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობით. დადგმულ იქნა ნაწყვეტები შილერის „ყაჩაღებიდან“ და გოგოლის „რევიზორის“ მეორე მოქმედება.

1905 წ. აღნიშნული თეატრი დაიწვა, ხოლო 1913 წ. აგებულ იქნა თეატრის ახალი შენობა. 1913—17 წლ. სცენაზე მუშაობდნენ: მიხაკო ცეცხლაძე, ალ. ჟორჯოლიანი, პელო ქარცივაძე, ვ. გიორგაძე, სანდრო შონია, ბ. წულაძე, ზ. ურუშაძე და სხვ.

ამავე წლებში ბახმაროზე არსებობდა სიმებიანი ორკესტრი კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძის ხელმძღვანელობით. ორკესტრში მონაწილეობდნენ: ს. ბერძენიშვილი, ვასო ოთხმეზური, ვანო ჟორჯიკაშვილი, მიხ. მგელაძე და სხვ.

1917 წლამდე მომხმარებელი საზოგადოების „ჯანმრთელობის“ თავმჯდომარე ამავე დროს ითვლებოდა კურორტის გამგედაც. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შემოღებული იქნა კურორტის დირექტორის თანამდებობა.

1899—1913 წ.წ. ბახმაროს მომხმარებელი საზოგადოება „ჯანმრთელობის“ თავმჯდომარედ იყვნენ: ტელემაკ გურიელი, გიორგი ბერიძე, თედორე ნაკაშიძე, დიმიტრი ცეცხლაძე, ვ. მგელაძე, ალ. ინწკირველი და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1923 წ. იგი გამოცხადებულ იქნა რესპუბლიკურ მნიშვნელობის კურორტად, რის შემდეგ ფართოდ გაიშალა მუშაობა ბახმაროს ყოველმხრივ კეთილმოწყობისა და აყვავებისათვის და სწორედ აქედან დაიწყო ბახმაროს, როგორც კლიმატური სადგურის, მეცნიერული შესწავლა.

ზოგიერთი ცნობები ბახმაროს სამკურნალო თვისებების შესახებ

ბახმაროს მეცნიერულად შესწავლა და ექსპერიმენტების მოწყობა დაიწყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ: 1922 წ. მოეწყო სამეცნიერო ექსპერიმენტი პროფესორების: ალ. ალადაშვილის და პროფ. ს. გოგითის ხელმძღვანელობით და ექ. ნ. მგელაძის, გიორგი შილაკაძის და სხვების მონაწილეობით.

ამის შემდეგ თითქმის ყოველწლიურად ეწყობა სამეცნიერო ექსპერიმენტები, რომელიც ფრიად საინტერესო ცნობებს იძლევიან ბახმაროს სამკურნალო თვისებების შესახებ.

საქ. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპევტულ ინსტიტუტის ინიციატივით, 1932—33 წ., ექიმ გავრილენკოს ხელმძღვანელობით, სამეცნიერო ექსპერიმენტამ დაჰყო ბახმაროზე 1932 წლის 1 ნოემბრიდან 1933 წ. 1-ლ ნოემბრამდის. ექსპერიმენტის მიზანი იყო აგრეთვე გამოერკვია შესაძლებელია თუ არა ბახმაროს, როგორც კურორტის, გამოყენება ზამთარში.

აღნიშნული ექსპერიმენტის მიერ გამოქვეყნებული მასალა უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია. ამ მასალებიდან ირკვევა, რომ ბახმაროს მეტეოროლოგიური პირობები სრულ შესაძლებლობას გვაძლევს, გამოვიყენოთ იგი ზამთარშიაც.

გარდა ამისა, ექ. გავრილენკომ მოახდინა ახალი ცდები ქირურგიული ტუბერკულოზით დაავადებულ ათ ბავშვზე. ბავშვების უმრავლესობა დაავადებული იყო მძიმე სახის ტუბერკულოზით. ზოგიერთ მათგანს ტუბერკულოზით დაზიანებული აღმოჩნდა რამდენიმე სახსარი და სდიოდა ჩირქი, მკურნალობა გრძელდებოდა სამთვენახევარს. ერთი თვის მკურნალობის შემდეგ, ზოგიერთ ავადმყოფს დაეტყო გამოჯანსაღების ნიშნები: ჩირქის დენა შეწყდა, წყლული მოუშუშდა და მსივანა ჯირკვლებს კლება დაეტყო. სამი თვის შემდეგ, ავადმყოფთა უმრავლესობა სრულიად განიკურნა. ერთერთ ავადმყოფს, რომელიც 11 წელიწადი დაავადებული იყო და, რომელსაც მკურნალობდნენ სხვადასხვა კლინიკაში სრულიად გაუქრა წყლული, და აგრეთვე ჯირკვლები მთელს ტანზე და თავს სავსებით ჯანსაღად გრძნობდა.

როგორც ვიცით, ქირურგიული ტუბერკულოზის მკურნალობაში დიდი ეფექტის მიღება შესაძლებელია არა ყველა კლიმატურ კურორტზე. ამ მხრივ ბახმაროს, სხვა კურორტებთან შედარებით, ის უპირატესობა აქვს, რომ იქ მთის ჰავასთან შეხვედრულია ზღვის ჰავაც და ორივე ეს ფაქტორი დადებითად მოქმედებს ქირურგიული ტუბერკულოზით დაავადებულზე. ბახმაროზე არ იცის გადაჭარბებული ქარი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს კურორტისათვის.

შედარებითი ცნობები ტემპერატურის, რადიაციის, ტენიანობის და ქარის მიმდინარეობის შესახებ კურორტ ბახმაროხა და სხვადასხვა კურორტებზე

საშუალო ტემპერატურა (თვეებში)

| კურორტის დასახელება | თ ვ ე ე ბ ი | | | | | | | | | | | | |
|---------------------|-------------|------|------|------|-----|------|------|------|------|-----|------|------|-----------------------------|
| | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | |
| ბახმარო . . | -6,6 | -4,4 | -4,5 | -0,3 | 8,0 | 8,0 | 11,8 | 13,6 | 10,1 | 5,8 | 0,2 | -5,2 | 1932-33 წწ. დაკვირვებანი |
| დავოსი . . | -7,4 | -5,1 | -2,6 | 2,3 | 6,7 | 10,2 | 12,1 | 11,2 | 8,4 | 3,3 | -1,3 | -6,1 | |

რ ა დ ი ა ც ი ა

| | | | | | | | | | | | | | |
|--------------|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----------------------------|
| ბახმარო . . | 2,8 | 3,6 | 4,5 | 4,6 | 7,9 | 6,1 | 5,6 | 6,7 | 5,3 | 5,9 | 3,4 | 3,8 | 1932-33 წწ. დაკვირვებანი |
| აბასთუმანი . | 2,4 | 3,3 | 4,7 | 4,7 | 7,0 | 6,6 | 7,3 | 8,0 | — | — | 2,9 | 3,1 | |
| დავოსი . . | 4,0 | 4,0 | 5,0 | 5,4 | 5,6 | 5,8 | 6,7 | 6,7 | 5,7 | 4,5 | 3,4 | 2,8 | |

ტ ე ნ ი ა ნ ო ბ ა (სინესტე)

| | | | | | | | | | | | | | |
|-------------|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----------------------------|
| ბახმარო . . | 74 | 73 | 73 | 72 | 66 | 78 | 87 | 79 | 89 | 79 | 73 | 69 | 1932-33 წწ. დაკვირვებანი |
| დავოსი . . | 82 | 80 | 79 | 76 | 73 | 75 | 76 | 78 | 80 | 79 | 81 | 83 | |

ქარის მიმდინარეობის საშუალო სიხშირე.

| კურორტების დასახელება | თ ვ ე ე ბ ი | | | | | | | | | | | |
|-----------------------|-------------|-----|-----|-----|-----|-----|-----|------|-----|-----|-----|-----|
| | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII |
| აბასთუმანი | 1,1 | 1,3 | 1,5 | 1,3 | 1,2 | 1,2 | 1,4 | 1,3 | 1,2 | 1,1 | 1,1 | 1,2 |
| ბახმარო | 2,5 | 2,5 | 3,3 | 3,2 | 2,2 | 2,6 | 1,6 | 1,7 | 1,8 | 1,9 | 4,4 | 2,9 |

¹ ცნობები შედგენილია ექ. გ ა ვ რ ი ლ ე ნ კ ო ს მიერ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით.

ჰიდრო-მეტეოროლოგი ბ. ზირაქაძის დასკვნები კურორტ ბახმაროს კლიმატური პირობების შესახებ¹

1. კურორტ ბახმაროს ტერიტორია, რომელიც მდებარეობს აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში, წარმოადგენს საკმაოდ დასერილ ღრმა რელიეფს, რომლის სიმაღლე ზღვის დონედან აღწევს 1900—1950 მეტრს. ის გაშლილია დასავლეთის მხრიდან შავი ზღვისაკენ, დანარჩენ სამივე მხრივ კი შემოზღუდულია მთებით, რომელნიც სიმაღლით სქარბობენ კურორტის მიდამოს 300-დან—800 მეტრამდე.

2. საკურორტო რაიონი თავისი სიმაღლის მიხედვით წარმოადგენს საზღვარს ტყის ზოლისას, რომელიც დაფარულია არა მთლიანი მასივით, არამედ კუნძულების სახით.

აქვე იწყება ალპური ზოლიც, რომელიც გრძელდება კურორტის ირგვლივ მდებარე მთების ფერდობებზე და მწვერვალებზე.

3. მაღალ მთის მწვერვალები, რომელნიც ესაზღვრებიან კურ. ბახმაროს და რომელთაც აქვთ უშუალო გავლენა კურორტის კლიმატურ პირობებზე, მიუხედავად თავიანთი სიმაღლისა (3000 მეტრამდე) არ არიან დაფარულნი მუდმივ თოვლით. ეს უნდა ჩაითვალოს ერთ მთავარ მიზეზად იმისა, რომ კურორტის ტერიტორია ზაფხულის განმავლობაში საკმაოდ არის გამთბარი.

4. კურორტის კლიმატური პირობები თავიანთ ტიპის მიხედვით ეკუთვნიან მაღალ მთის კლიმატს, სადაც დამატებით აშკარათ გამოიხატება ზღვის გავლენა. ეს გავლენა განსაკუთრებით რელიეფური ხდება მაშინ, როდესაც კურორტის რაიონი მოექცევა ციკლონურ მოქმედებათა უშუალო გავლენის ქვეშ, რომლითაც იფარება მთელი დასავლეთი საქართველო.

ასეთ შემთხვევებში დასავლეთის ატმოსფერული დენები არიან წინამორბედნი და შემდეგ თანამგზავრნი აღნიშნულ რაიონში „ცუდი“ ამინდების დადგომისა.

გარდა ამისა, კურორტის რაიონში დასავლეთის მხრიდან ზღვის გავლენა შემოაქვს ზღვის ბრიზებს, რომელნიც დაერთვის ადგილობრივი მთაბარის ქარებს, ერთდროულათ მიმართულების მიხედვითაც,

5. აღნიშნულ ორგვარი დასავლეთის ატმოსფერული დენები, არსებითად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, როგორც წარმოშობის ისე მეტეოროლოგიური შინაარსის მხრივ. ციკლონური სახის დასავლეთის ქარებს ჩვეულებრივად თან მოაქვთ დიდი სინოტივე, მთლიანი მოლრობლულობა, ნალექიანობა, დაბალი წნევა და კლიმატური ელემენტების დღე-ღამის ნორმალური მსვლელობის დარღვევა.

ადგილობრივი წარმოშობის დასავლეთის დენებს კი მოაქვთ რაიონში დიამეტრალურად საწინააღმდეგო ამინდის კომპლექსი, რომელიც ხასიათდება შედარებითი სიმშრალით, მოწმენდილი ცით, ჰაერის სუსტი მოძრაობით, მკაფიოთ გამოხატული ყველა კლიმატურ ელემენტების დღე-ღამის სვლით და მათ შორის განსაკუთრებით ქარების.

¹ ამოღებულია: კურორტი ბახმარო. შრომების კრებული. თბილისი 1935 წ.

კურ. ბახმაროს კლიმატზე სისტემატური გავლენა ეკუთვნის ადგილობრივ წარმოშობილ ატმოსფერულ დენებს. აღნიშნულ ფაქტორებით წარმოშობილი კლიმატური კომპლექსი არის კომფორტაბელური ადამიანის ორგანიზმისათვის განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში.

6. კურორტის საერთო კლიმატური ელემენტები ხასიათდებიან შემდეგი მაჩვენებლებით.

- ა) საშ. წლიური ტემპერატურა 4° ,
სეზონების მიხედვით კი: ზამთრის -4° ,
გაზაფხულის 3, ზაფხულის 12, შემოდგომა 5° .
- ბ) წლიური ნალექ. ჯამი უდრის 1300 მმ, მათში თოვლის სახით 40%.
- ვ) მზის ნათების ხანგრძლიობის წლიური ჯამი 1900 საათი, მათ შორის ზაფხულის პერიოდში 630 საათი.
- გ) წლიური საშუალო სინოტივე -70% .
- დ) ქარების საშუალო სიჩქარე დაახლოებით 3m/s.

კურორტის ტემპერატურული პირობები, რომელნიც დამოკიდებული არიან ადგილის სიმაღლეს, ზღვასა და რთულ ოროგრაფიული პირობებთან ხასიათდებიან შედარებით მცირე აბლიტუდით და თანდათანობითი ცვლით.

მზის რადიაციის რეჟიმი და მასთან დაკავშირებული ატმოსფერის გამჭირვალეობა ხასიათდებიან მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით.

7. კურორტის მდებარეობა აჭარა-იმერეთის ქედის დასავლეთის ნაწილში თბილ შავ ზღვასთან (20—25 კ. მ.) და ის რომ, მის კლიმატურ კომპლექსში აშკარათ გამოსახულია ზღვის ელემენტი ანიჭებენ კურორტ ბახმაროს ძვირფასს თვისებებს, ქმნიან მას სპეციფიურ კლიმატო-თერაპიულ ობიექტათ და განსაკუთრებულ ადგილს აკუთვნებენ მას საბჭ. კავშირის და ევროპის მაღალ მთიან კურორტთა შორის.

8. ზამთრის პერიოდის ხელშემწყობი კლიმატური პირობების მაჩვენებლები იძლევიან შესაძლებლობას, რომ კურორტი ბახმარო სამკურნალოთ გამოყენებული იქნას მთელი წლის განმავლობაში.

9. კურ. ბახმაროს კლიმატი მოითხოვს, უფრო ღრმათ შესწავლას. მთავარი ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული შემდეგი ძირითად საკითხების შესწავლაზე:

- ა) მზის რადიაციის რეჟიმი, როგორც სუმარული ისე სპექტრის მიხედვით.
- ბ) ატმოსფეროს იონაზაცია და საერთოდ ატმოსფერული ელექტრობა.
- ვ) ქარების სტრუქტურა.
- გ) ატმოსფერული დენები, რომელთაც მოაქვთ კურ. რაიონში ზღვის ელემენტი.
- დ) მთელი რიგი ბიოკლიმატური ხასიათის საკითხები. ყველა აღნიშნული სამუშაოები უნდა იქნეს ჩატარებული მძლავრი გეოფიზიკური სადგურის ბაზაზე.



სტატისტიკური ცნობები მოაგარაკეთა რაოდენობის
უ ე ს ა ხ ე ბ

| 1896 | ▼. | 100-მდე | მოაგარაკე | 1918 | ▼. | 670-მდე | მოაგარ. |
|------|----|---------|-----------|------|----|---------|---------|
| 1897 | „ | 160 | „ | 1919 | „ | 7800 | „ |
| 1898 | „ | 200 | „ | 1920 | „ | 8000 | „ |
| 1899 | „ | 400 | „ | 1921 | „ | 6500 | „ |
| 1900 | „ | 1100 | „ | 1922 | „ | 7990 | „ |
| 1901 | „ | 1350 | „ | 1924 | „ | 8000 | „ |
| 1902 | „ | 1600 | „ | 1925 | „ | 8100 | „ |
| 1903 | „ | 2000 | „ | 1926 | „ | 8600 | „ |
| 1904 | „ | 2500 | „ | 1927 | „ | 8900 | „ |
| 1905 | „ | 2800 | „ | 1928 | „ | 9100 | „ |
| 1906 | „ | 3000 | „ | 1929 | „ | 9500 | „ |
| 1907 | „ | 3600 | „ | 1930 | „ | 10000 | „ |
| 1908 | „ | 3750 | „ | 1931 | „ | 10,000 | „ |
| 1909 | „ | 3900 | „ | 1932 | „ | 11,000 | „ |
| 1910 | „ | 4150 | „ | 1933 | „ | 11,500 | „ |
| 1911 | „ | 4250 | „ | 1934 | „ | 12,000 | „ |
| 1912 | „ | 4400 | „ | 1935 | „ | 16,000 | „ |
| 1913 | „ | 4600 | „ | 1936 | „ | 19,000 | „ |
| 1914 | „ | 4700 | „ | 1937 | „ | 17,000 | „ |
| 1915 | „ | 5000 | „ | 1938 | „ | 16,000 | „ |
| 1916 | „ | 6000 | „ | 1939 | „ | 18,000 | „ |
| 1917 | „ | 6500 | „ | | | | |

ბახმაროს გზები

ყველა იმ ღირსებასთან, რომლითაც უხვადაა დაჯილდოებული ბახ-
მარო, არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი დიდი ნაკლიც. ესაა შესაფერისი
გზის უქონლობა. თუმცა ეს გზები თავისთავად თვალწარმტაცი და მომხი-
ბლავია და ტურისტული თვალსაზრისითაც მეტად საინტერესოა.

ბახმაროსაკენ არსებობს ორი გზა: ერთი ვაკიჯვრით, მეორე—ნაბელლავეთ. მატარებელი მიდის ქ. მახარაძემდე, იქედან ვაკიჯვრამდე მიმოსვლა სწარმოებს ავტოთი (15 კლ.), ხოლო ზემო-ვაკიჯვრიდან იწყება საკუთრივ ბახმაროს გზა (23 კლ.) ხშირად სწორი ანუ ვაკე გზა, აქა-იქ კი ლარებიანი აღმართ-დაღმართი და შიგადაშიგ საშიში გზებიც. ამ გზით ბახმაროზე ასვლა შესაძლებელია მხოლოდ ქვეითად, ან ცხენით, ბარგი ააქვთ ცხენით. ხშირად ცხენს ორივე მხრივ ჰკიდებენ გვარდებს და შიგ ბავშვებს ჩასვამენ. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, უბედური შემთხვევა ამ გზაზე თითქმის არაუის ახსოვს.

მეორე გზა ნაბელლავის, (ჩოხატაურის რაიონი) უფრო მოხერხებულია. ამ გზით ასვლა არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს. ამ გზაზე შეიძლება მგზავრობა, როგორც ცხენით, ისე ურმით. 1934 წელს ეტლიც აიყვანეს. ამ გზით პირველად ავიდა ავტოც. ნაბელლავიდან ბახმაროსკენ მიმავალი ხაზი შემდეგი იქნება: საჯავახომდე—რკინიგზით, იქიდან ჩოხატაურამდე მიმოსვლა სწარმოებს ავტოთი, (19 კლ.) ჩოხატაურიდან გზა გაივლის სოფ. ერკეთზე, შემდეგ სოფ. ხევში და, ნაბელლავეზე გავლით, მიდის ბახმაროში. ჩოხატაურიდან ბახმარომდე დაახლოებით 40 კილომეტრია.

ბახმაროს კეთილმოწყობისათვის

ბახმაროს სახელმწიფო მნიშვნელობის კურორტად გამოცხადების დღიდანვე ჩატარებულია სამუშაოები: საკურორტო ზონის გამორკვევა, ტყეების დაცვა, კურორტის დაგეგმვა. კომუნალური მშენებლობიდან აღსანიშნავია: ჰიდროელექტროსადგურის, სახერხი და აგურის ქარხნების და ჰიგიენური აბანოს აგება, წყალსადენის გაყვანა. გახსნილია: პოლიკლინიკა, აფთიაქი, რამდენიმე დასასვენებელი სახლი და სხვ.

მომავალში, ჩვენის აზრით, აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს 1. გზის გაყვანას, პირველ ყოვლისა ნაბელლავის მიმართულებით; 2. ბახმაროზე მშენებლობა უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი გენერალური გეგმის მიხედვით; 3. გაყვანილ უნდა იქნას კანალიზაცია.

ვინაიდან გამორკვეულია, რომ ბახმაროს ჰავა დიდად უწყობს ხელს ძვლის ტუბერკულოზით დაავადებულთა განკურნვას, საჭიროა გამოვიყენოთ იგი ზამთარ-ზაფხულ საექიმოდ. ამიტომ უნდა აშენდეს სანატორიუმი, რომელიც იმუშავეს მთელი წლის განმავლობაში და ავადმყოფებზე აწარმოებს მკურნალობას და კლინიკურ დაკვირვებას.

ბახმარომ, თავისი სამკურნალო თვისებებით, უნდა დაიკავოს სათანადო ადგილი საბჭოთა კავშირის კურორტთა შორის. ამისათვის სტალინურ ეპოქაში, ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში, ყოველივე პირობებია შექმნილი.

ჩ ვ ე ნ ე ბ ა ნ ი

1. ფილტვების ტუბერკულოზი

1. $A^1, -A^2, -A^3, -B^1, -B^2$ ფიბროზული პროდუქტიული, ჩამქრალი ფორმა (არაპროგრესული), რომელთაც არ აქვს აშკარა გამონატული კახექსია და ტოქსემია და აგრეთვე არ აქვს მიდრეკილება სისხლის დენისადმი.

2. ჯირყველოვან-პლევრული, პერიტონიური და ძვლის ფორმები A და B.

3. ინტოქსიკაცია 1 და 2 და ბავშთა ტუბერკულოზის დანარჩენი სახეები ლოკალურ ფორმებში და მის გარეშე.

2. ფილტვების დაავადება არა ტუბერკულოზური ხასიათისა:

1. არა მძიმე ფორმის ბრონქული ასტმა.

2. ქრონიკული ბრონხიტი.

3. იოლი ფორმის ფილტვის ემფიზემა და

4. ბრონქოექტაზია.

3. მალარია, მეორადი სისხლნაკლოვანება, ქროლოზი.

4. ნევრასტენია და მოქანცულობა

საწინააღმდეგო ჩვენებანი:

გულის და სისხლის მიღების ორგანული დაავადებანი სუბკომპენსირებული და დეკონსპენსირებული ხანაში.

1. ჰიპერტონიები.

2. ტუბერკულოზი B. C—II-III.

ლიტერატურა ბახმაროს შესახებ

1. Чурсин—Бахмаро 1910 г.

2. Т. Д. Мамаладзе—Урочище Бахмаро. Труды III Съезда русских естествоиспытателей и врачей. т. VI, стр. 360.

3. Проф. Мультановский—Климатотерапия в горах Кавказа.

4. Проф. Калитин—Некоторые результаты обследования курортов Грузии относительно общей и ультрафиолетовой радиации солнца и чистоты атмосферы. 1937 г.

5. Д-р Б. Гавриленко—курорт Бахмаро 1933 г.

6. Ан. Шилакадзе—курорт Бахмаро 1933 г.

7. Прив-Доц. Д. Джавахишвили—курорты Грузии 1933 г. стр. 57.


8. Показания и противопоказания для лечения на курортах Грузии, 1933 г. стр. 29.

9. ა. წითელმთიელი—ბახმარო, ქ. მახარაძე, 1934 წ.
10. დოც. გ. ა. მუავანაძე—აგარაკი ბახმარო, 1926 წ.
11. ექ. ა. ინგოროყვა—აგარაკი ბახმარო, 1924 წ.
12. ექ. არ. ვადაჭკორია—მალარია გურიაში, 1926 წ.
13. Г. Чиракадзе—Климатические условия Бахмаро, 1935 г.
14. პროფ. პ. ნანეიშვილი, ექ. ვასაძე—ბახმაროს ჰავის გავლენის საკითხისათვის ტუბერკულოზურ ბავშვებზე.
15. დოც. ი. ცინცაძე—სისხლის მიმოქცევის ორგანოთა ფუნქციონალური მდგომარეობის საკითხისათვის კურორტ ბახმაროზე.
16. М. Беридзе-Григолашвили—Динамика регенерации красной крови в условиях курорта Бахмаро.
17. გ. გრიგოლაშვილი—კურორტ ბახმაროს გავლენა ვეგეტატიურ ნერვულ სისტემაზე
18. Г. Чиракадзе и А. Лятковский—Снеговой покров на курорте Бахмаро.
19. პროფ. გულისაშვილი—ბახმაროს ტყეები და მათი მნიშვნელობა კურორტისათვის და სხვ.
20. პროფ. ნ. ა. ყიფშიძე და გრ. მუხაძე—ბახმაროს მეტი ყურადღება (გაზ. „კომუნისტი“ 22.X.1936 წ.).
-



ს ა რ ჩ ე ვ ი

| | |
|---|-----|
| | 33- |
| • პროფ. ვ. ანდლულაძე—წინასიტყვაობა | 3—4 |
| 1. ბახმარო | 7 |
| 2. აქვს თუ არა რაიმე კავშირი ბახმაროს სახელწოდების წარმო- შობას ტყვეებისა და მონების ყიდვა-გაყიდვასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა გურიაში. | 10 |
| 3. ვინ აღმოაჩინა ბახმარო | 20 |
| 4. ზოგიერთი ცნობანი კურორტ ბახმაროს დაარსების ისტორი- იდან: გამოხმაურება პრესაში; პირველი მოსახლენი; მომხმარე- ბელი საზოგ. „ჯანმრთელობა“; წყალსადენის გაყვანა და სხვ. | 21 |
| 5. თეატრი ბახმაროში | 23 |
| 6. ზოგიერთი ცნობები ბახმაროს სამკურნალო თვისებების შესახებ. | 24 |
| 7. შედარებითი ცნობები ტემპერატურის, რადიაციის, ტენიანობის და ქარის მიმდინარეობის საშუალო სისწრაფის შესახებ ბახ- მაროსა და სხვადასხვა კურორტებზე | 25 |
| 8. ჰიდრო-მეტეოროლოგი გ. ჭირაქაძის დასკვნები კურორტ ბახ- მაროს კლიმატური პირობების შესახებ | 26 |
| 9. სტატისტიკური ცნობები მოაგარაკეთა რაოდენობის შესახებ | 28 |
| 10. ბახმაროს გზები | 28 |
| 11. ბახმაროს კეთილმოწყობისათვის | 29 |
| 12. ჩვენებანი და წინააღმდეგ ჩვენებანი. | 30 |
| 13. ლიტერატურა ბახმაროს შესახებ | 30 |



ფასი 2 მან.

210-1400

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1101

А. ШИЛАКАДЗЕ

БАХМАРО

(Материалы в истории Курорта Бахмаро)

Тбилиси—1940

~~514~~

36

5